

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: შემთხვევით პროცესთა თეორია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მათემატიკის დოქტორი/PhD in Mathematics

სპეციალობა: შემთხვევით პროცესთა თეორია

პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ომარ ფურთუხია

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) **პროგრამის მიზანი:** შემოთავაზებული პროგრამა კომპლექსურია და ის მოიცავს კვლევის შესაძლებლობას მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებით: ნამდვილი და კომპლექსური ცვლადების ფუნქციათა თეორია, ფუნქციონალური ანალიზი, ზომის თეორია, უსასრულო განზომილებიანი წრფივი სივრცეები, უსასრულო განზომილებიანი მრავალსახეობების თეორია, დრეკადობის თეორია, ჰილბერტის სივრცის გეომეტრია, შემთხვევითი ანალიზი.

ბ) **პროგრამის შედეგი:** პროგრამის გავლის შედეგად დოქტორანტი შეძლებს შესაბამის დარგში როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით ნათლად, ზუსტად და მისაღები სახით გადასცეს ადრესატს საჭირო ინფორმაცია, გააუმჯობესებს როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური ხასიათის სამუშაოების შესრულების უნარს. შეეძლება დამოუკიდებლად დასვას და გადაწყვიტოს პრობლემატური საკითხები აღებული დისციპლინიდან.

გ) **დასაქმების სფეროები:** პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს საკვლევი და პედაგოგიური მიმართულებებით შესაბამის დაწესებულებებში, აგრეთვე იმ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებში, სადაც საჭიროა ამაღლებული მოთხოვნების საძიებო სამუშაოების ჩატარება

პროგრამაზე მიღების წინაპირობები: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მათემატიკაში ან გამოყენებით მათემატიკაში.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, ნაგარაუდევია ორი დოქტორანტის მიღება.